



საქართველოს პრემიერ-მინისტრს,  
 ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარეს,  
 ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,  
 ბატონ შალვა პაპუაშვილს

**N / Our ref: O-02/123**

**„ინიციატივა ხანძრების წინააღმდეგ“ –  
 კერძო და სამოქალაქო ორგანიზაციების კოალიციის მიმართვა**

29.08.2022

ბატონო ირაკლი,

ბატონო შალვა,

ბორჯომის ხეობაში განვითარებულმა ტყის მასშტაბურმა ხანძარმა, ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტებს შორის, კიდევ ერთხელ გამოკვეთა სახანძრო უსაფრთხოების საკითხი და დღის წესრიგში დააყენა ფართო, მონაწილეობრივი დიალოგის საჭიროება რისკების მართვის სისტემების შეფასებისა და გაუმჯობესებისთვის.

სახანძრო უსაფრთხოების გამართული სისტემის შესაქმნელად ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. თუმცა, დღემდე რჩება ადვილად შესამჩნევი ხარვეზები, რაზეც ჩვენს კოალიციას გასულ წელსაც ჰქონდა კომუნიკაცია შესაბამის უწყებებთან და უშუალოდ მთავრობის ადმინისტრაციასთან. გარდა ამისა, უკვე დამდგარი შედეგების შეფასების პროცესში ყოველთვის იკვეთება ახალი გარემოებები, რაც საკვანძოა მომავალი რისკების პრევენციისთვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კრიზისული ვითარების მართვის ეროვნული ცენტრის და / ან პოლიტიკის განმსაზღვრელი და განმახორციელებელი ნებისმიერი სხვა უწყების ინიციატივით, საჭიროა განისაზღვროს ამჟამად არსებული მრავალუწყებრივი პლატფორმა, ან შეიქმნას ახალი, თუნდაც დროებითი სამუშაო ჯგუფი / კომისია, რომელიც დაკომპლექტდება როგორც საჯარო უწყებების, ასევე საზოგადოებრივი, სამეცნიერო და კერძო ორგანიზაციების / ასოციაციების წარმომადგენლებისაგან და განახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- სახანძრო უსაფრთხოების სისტემების კომპლექსური შეფასება, რომელიც მოიცავს რისკ-ფაქტორების დადგენას და მონიტორინგის, პრევენციის, მზაობისა და რეაგირების კომპონენტების ანალიზს საკანონმდებლო, ინსტიტუციურ და ტექნიკურ დონეზე;

- სისტემის გაუმჯობესების საჭიროებების განსაზღვრა, განფასება და ბიუჯეტირება;
- საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედება, რომლებიც დაკავშირებულია მიწების გადაწვასა და დაუცველ ზონებში კოცონის გაჩაღებაზე განსაზღვრული სანქციებისა და აღსრულების პროცედურების განხორციელებასთან;
- ნახანძრავი ტერიტორიების აღდგენის გეგმის / გეგმების შემუშავება და ბიუჯეტირება.

წარმოდგენილი ამოცანებიდან გამომდინარე, ინიციატივა უნდა განხორციელდეს საქართველოს პარლამენტთან და ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით და შესაბამისობაში მოვიდეს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების ვადებთან და პროცედურებთან.

„ინიციატივა ხანძრების წინააღმდეგ“ შეიქმნა 2021 წელს და მისი მიზანია მთავრობასა და საზოგადოებას შორის დიალოგის განვითარება სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია როგორც უნიკალური ბუნებრივი მემკვიდრეობისა და სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებების, ასევე, პირველ რიგში, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფასთან.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

ნანა ჯანაშია

CENN



ალეკო ცქიტიშვილი

ადამიანის უფლებათა ცენტრი




ნინო ზამბახიძე

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია



გიორგი გუჯარაიძე

ასოციაცია ტყის პროდუქტი



## ხელმძღვანელი ორგანიზაციები:

1. გიორგი ვოლსკი, ანდრიას ღვინო
2. იაგო ბიტარიშვილი, იაგოს ღვინო
3. ლევან გოგოლაძე, *ლევანის მარანი*
4. გიორგი დავითაია, *DoReMi WINE*
5. თაკო ჟურული, *ჟუკა-სანოს მარანი*
6. დავით კაპანაძე, *ტყლაპის მარანი*
7. შორენა პატარიძე, *პატარიძეების რაჭული*
8. ზაზა დარსაველიძე, *მარანი დასაბამი*
9. შალვა ნატროშვილი, შალვა ნატროშვილის მარანი
10. შმაგი ავალიშვილი, ავალიშვილის მარანი
11. დავით კაპანაძე, ჩვენი ღვინო
12. ლაშა გურული, მარანი ენკენი
13. ბექა ასლანიშვილი, მარანი ბეას-ნეზი
14. თენგიზ დვალიშვილი, TD-Winery
15. ალექო ცეციტიშვილი, ჭორტაულის ვენახები
16. რეზო გეთიაშვილი, ვაჟა გეთიაშვილის მარანი
17. გიორგი მშვენიერაძე, მშვენიერაძეების მარანი
18. შოთა ლაგაზიძე, ლაგაზი
19. გიორგი ღვარძელაშვილი, ღვარძელაშვილის მარანი
20. მამუკა კიკვაძე, სამთავისის მარანი
21. ზურაბ თოფურიძე, იბერიელი
22. მერაბ მათიაშვილი, მათიაშვილის მარანი
23. გოგიტა მაკარიძე, მაკარიძის მარანი
24. ალექო ნარიმანიძე, ალექსანდრეს მარანი
25. ბაია აბულაძე, ბაიას ღვინო
26. მერაბ მირცხულავა, მარანი ალაფიანი
27. ივანე სტეფანაშვილი, ვარიანის მარანი
28. ელისაბედ ხმიადაშვილი, კახეთი ბიო
29. ილია არჩემაშვილი, თიანეთის ნობათი
30. მამუკა ალფაიძე, ფარკონი
31. გოჩა ძნელაძე, ჯეოფლაუერი
32. ნინო ჩაღრაღანიძე, მანნა
33. ნინო თიგიშვილი, თიგის სახლი
34. მელანური ვინტაჟი, თეო თაბორიძე
35. გიორგი აბაშიძე, ბიპისი
36. გიორგი სეხნიაიძე, უშარო
37. ნათია ფსუტური, კოოპერატივი არაგველები
38. გიორგი მაისურაძე, მილმართი
39. ზვიად ნიჟარაძე, კაუკაზანი
40. ირაკლი დოლიძე, ფრიზ თი

41. მამუკა ხომტარია, საქართველოს ხის დამამუშავებელთა და ავეჯის მწარმოებელთა ასოციაცია
42. ია თაბაგარი, შპს „ლივინგ რუთს“
43. ანა დიდებულიძე, „როზის მარანი“
44. ზაზა ჯაყელი, „ჯაყელების ორგანული ვენახი და ღვინოები“
45. მალხაზ ხარბედია, „მარანი კალამი“
46. ნინო ჩიტომვილი, „ჩიტოს ღვინო“
47. ზაზა გაგუა, „ღვინო მარტვილი“
48. ლაშა ლომიძე, მარანი „ბარული“
49. მიხეილ ჭონიშვილი, „ჭონას მარანი“
50. სანათა წიწუაშვილი, მარანი „ლაგვანი“
51. არჩილ ნაცვლიშვილი, მარანი "კეროვანი"
52. ირაკლი გვაზავა, მარანი "გვაზი"